პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 თებერვალი ოთხშაბათი 1974 წელი 2 ფურ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 31 (15852)

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა ადამიანების მძლავრ მოძრაობას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, უფრო სრულად გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა, იყვნენ მუდამ წინ, იყვნენ იქ, სადაც უფრო მეტი სიძნელეებია, მოახმარონ თავიანთი ცოდნა და უნარი ხალხს, ბრძოლას მისი ინტერესებისა და ბედნიერებისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანას ბევრი მოწინავე მუშა ჰყავს, რომლებიც მუდამ დროს უსწრებენ და შრომის საუკეთესო მაგალითებს უჩვენებენ. მათ შორის არიან მეყალიბე თ. დოლიძე და ხარატი შ. ჯოხაძე; ისინი ქარხნის კომუნისტებმა თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატებად აირჩიეს.

სურათზე: მეყალიბე თ. დოლიძე და ხარატი შ. ჯოხაძე.

ს. კილაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXV კონფერენცია

6 თებერვალს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა „საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXV კონფერენცია.

დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის 77 — ათასზე მეტი კომუნისტისაგან შემდგარი რაზმის წარმომადგენლები — ძველი ბოლშევიკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, სწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

პარტიული კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი თავის მიმართვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს მოუწოდა სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა ადამიანების მძლავრ მოძრაობას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, უფრო სრულად გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, სრულყონ თავიანთი საქმიანობა, ყვნენ მუდამ წინ, იქ, სადაც ყველაზე მეტია სიძნელე, ხალხს, მისი ინტერესებისა და მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და უნარი.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXV კონფერენცია მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს მთელი კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში. დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის პლენიფიცა ხომ, როგორც იგი განსაზღვრულია თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში, ის არის, რომ მუდამ მხედველობის არეში იქონიოს მუშაობის ყველაზე საყურადღებო უბნები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთლიანად რესპუბლიკისათვისაც.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წინა, XXXIV კონფერენციის შემდეგ განვლილმა პერიოდმა ჩაიარა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულების, ბეჭდვითი და მიზნდასახული მუშაობის ნიშნით, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს საქმიანობის ყველა სფეროში იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ეს დადგენილება თბილისისა და მთელი საქართველოს კომუნისტებმა, მშრომელებმა აღიქვეს იმ მამობრივი ზრუნვისა და ყურადღების მკაფიო გამოვლინებად, რასაც სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი იჩენს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი. ეს დადგენილება გახდა თავისებური შუქურა საქართველოს ყველა კომუნისტისათვის, ყველა მშრომელისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

თბილისის XXXV საქალაქო პარტიული კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **პ. ვ. გილაშვილმა.** ირჩევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოებს: საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიასა და სადავენოს.

პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგებს **ბ. ვ. გიგიბერიას, პ. ვ. გილაშვილს, ა. ნ. ინაურს, შ. დ. კიკნაძეს, პ. ვ. მელნიკოვს, ზ. ა. პატარიძეს, ვ. მ. ხირაძეს, ე. ა. შევარდნაძეს, ა. ნ. ჩურკინს, გ. ს. ძოწენიძეს, ვ. დ. ჯავახიშვილს, თ. ი. მოსაშვილს, შ. ვ. ყარყარაშვილს, ო. ე. ჩერქეზიას,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკს **ვ. ვ. ვასილიევს,** ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკებს, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის ნოვატორებს, თვალსაჩინო მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ამერკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლებს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სატიტაპო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

ერთხმად მტკიცდება შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში,
2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. არჩევნები:
ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის;
ბ) საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ხაანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **პ. ვ. გილაშვილმა.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ო. ტ. ჩინჩარაძემ.**

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ი. ალავიძე,** თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწე ამხ. **ვ. ბ. გეგეშიძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის პირველი მდივანი ამხ. **ა. დ. ჩიკვაიძე,** გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. **რ. ლ. ბუგაიანშვილი,** თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვ. ს. ჯანჯღავა,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა საამართველოს უფროსი ამხ. **გ. ს. ბაკურაძე.**

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. ვ. კომახიძემ.** კონფერენციამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. ი. აზიროვი,** ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროაგრეგატშემკეთებელი ქარხნის ხარატი ამხ. **გ. ს. გიჩერლაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **გ. გ. აბაშიძე,** საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ს. ი. გამრეკელი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბ. თ. ლობჟანიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივანი ამხ. **ა. დ. ალექსიძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **გ. დ. გაბუნია,** „მთავართბილისშენის“ უფროსი ამხ. **ბ. ა. ზატუაშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. **ნ. ს. ჯანაშია,** ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორი ამხ. **თ. ი. პაჭაძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXV კონფერენციის მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს სომხეთის კომპარტიის ერევნის ორგანიზაციის XXXIV კონფერენციის დელეგატებმა და აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტმა.

6 თებერვალს კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საინფორმი).

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს (უფროსი გ. ყანჩაველი) საწარმოთა კოლექტივებმა ხუთწლედის მესამე წელს გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. წელს შრომის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს და პროდუქციის რეალიზაციის იანვრის დავალება 101 პროცენტით გადაანაღდეს. საერთო პროდუქციის დავალებას კი 220 ათასი მანეთით გადაჭარბეს. გეგმა შეასრულა სისტემის ყველა საწარმომ.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 30 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 26,2 პროცენტით.

საწარმოთა კოლექტივებმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად გადახედეს აღრე ნაკისრ ვალდებულებას და გადაწყვეტეს განმსაზღვრელ წელს გეგმის გადამეტებით ჯარიმონ 0,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

□ ქუთაისი. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ხუთწლედის მესამე წლის გეგმა ყველა მაჩვენებლით შეასრულა, კარგად დაიწყო განმსაზღვრელი წელი. ავტოშენებლებმა წლის პირველი თვის პროდუქციის რეალიზაციის დავალება სამშობლოს 26 იანვარს უპატაკეს, ხოლო საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა 29 რიცხვისათვის გაანაღდეს.

□ ზესტაფონი. ფეროშენადნობების ქარხნის კოლექტივი ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს განაგრძობს მაღალნაყოფიერ შრომას. ფერომანგანუმელებმა იანვრის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 14 ღუმელის მომსახურე ბრიგადები, რომლებიც ექვსი წელია არ თმობენ პირველობას და მტკიცედ უპყრიათ ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა.

□ სოხუმი. მარმარილოს მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და პირველი წარმატება უკვე მოიპოვა. პროდუქციის რეალიზაციის იანვრის დავალება ადრამდე გაანაღდა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს დიდძალი მარმარილოს ფხვნილი მიაწოდა.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

რუსთავი. შარშან ქიმიური კომბინატის კოლექტივმა თავი დაადწია დიდი ხნის ჩამორჩენას და შარშანდელი წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეთ. დავალების გადამეტებით 1.600 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია გამოვუშვით და 500 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოვახდინეთ.

ქიმიკოსებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის მეოთხე კვარტალი. მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დავიკავეთ და ფულადი პრემია დავიმსახურეთ. ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ კომბინატი დიპლომით დააჯილდოვა.

გასული წლის აღებული შრომის მაღალი ტემპი კიდევ უფრო გაძლიერეთ. საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა 100,2 პროცენტით შეგასრულეთ, ხოლო რეალიზაციისა — 101,8 პროცენტით, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მივაწოდეთ 110 ტონა კაპროლაქტამი და 500 ტონა მინერალური სასუქები.

ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალების შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ამონიუმის სულფატის, სინთეზის, ამონიუმ დისულფატის და ჟანგბადის საამქროები, რომლებსაც ს. ბებიაშვილი, თ. კარდენახაშვილი, გ. ოქელაშვილი, გ. კალანდაძე უძღვებიან.

ქიმიკოსები თებერვალში კიდევ უფრო გავაძლიერებთ შრომის ტემპს, რომ ყოველი თვის გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ.

ეს რეზოლუციას აკნობებს რუსთავის ქიმიური კომბინატის დირექტორმა გ. ბოგოლაკმე და პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. ხაზარაძემ.

ᲛᲔᲪᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

საჩხერე. (სკპ. კორ.). აქაური მეცვენახეები ენერგიულად შრომობენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი. საჩხერის მეცვენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი შ. ბაზაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. აბრამიშვილი) შარშან სახელმწიფოს მიაყიდა 919,5 ტონა ყურძენი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 650 ტონისა. მეურნეობამ ახალი ვენახი გააშენა 40 ჰექტარზე, ბაღი — 6 ჰექტარზე, ქარსაცავი ზოლი — 2 ჰექტარზე.

საბჭოთა მეურნეობის წმინდა მოგებამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა. მეურნეობამ გაიმარჯვა ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს საჩხერელებმა კვლავ გაგრძელეს შეჯიბრება არგვეთლებთან და იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 1.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.100 ტონა ყურძენი, მოსავლიანობა ჰექტარზე გაადიდონ 4 ცენტნერით, სანიმუშოდ მოუარონ 175 ჰექტარ ახალშენ ვენახს. სამეზობლის სალიკვიდაციოდ გამორგავენ 40 ათას ძირ ვაზს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ

ორჯონიკიძე. აქ გაიმართა სკკპ საოლქო კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. ი. დოლგიხმა** გულოთადად მიულოცა და ავტონომიური რესპუბლიკის დროშას ტაშის გრიალში მიაბნია საპატიო ჯილდო.

იაკუტიაში გაიმართა სკკპ საოლქო კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა იაკუტის ასს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას.

შეკრებილთ მიესალმა, მთავრობის მაღალი ჯილდო მიულოცა და ავტონომიური რესპუბლიკის დროშას ხალხთა მეგობრობის ორდენი მიაბნია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. ნ. ნოვიკოვმა.**

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

4 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ვო თხუკ დონგი** და **სამხრეთ ვიეტნამის** რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში **კაო ვან ჰუნგი,** რომლებმაც გადასცეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის განცხადებათა ტექსტები ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების ხელმოწერის პირველ წლისთავთან დაკავშირებით.

ვო თხუკ დონგმა და **კაო ვან ჰუნგმა** ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათს მთავრობებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ იმისათვის, რომ ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმების დებულებებს ზუსტად და განუხრელად ასრულებდეს ამ დოკუმენტის ხელმოწერი ყველა მხარე.

ა. ნ. კოსიგინმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია უცვლელია და მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ პარიზში მოწეული, შეთანხმების მტკიცედ შესრულების უზრუნველყოფას.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ რ. ჯ. ჟორჟიას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცე წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს მწერალი როდიონ კალენიკეს-ძე ჟორჟია **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1974 წლის 5 თებერვალი.

ᲜᲘ. Ვ ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲘᲠᲛᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ

5 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** კრემლში მიიღო ბირმის კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი **ტაკინ ჯო ტუნი.**

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ბირმის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.

ელჩმა ნ. ვ. პოდგორნის გადასცა ბირმის კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის უ ნე ვინის წერილი. (საკდესი).

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲛᲬᲧᲝᲒᲠᲨᲘ — ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

	საქართველო		აზერბაიჯანი		სომხეთი	
	1973 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1973 წელი პროცენტებით 1972 წელთან შედარებით	1973 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1973 წელი პროცენტებით 1972 წელთან შედარებით	1973 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1973 წელი, პროცენტებით 1972 წელთან შედარებით
რეალიზებული პროდუქციის მოცულობა	**103,0**	**105,7**	**102,7**	**107,8**	**102,1**	**105,2**
საერთო პროდუქციის მოცულობა	**102,9**	**107,3**	**103,4**	**111,9**	**101,7**	**105,7**
შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში	**102,8**	**106,0**	**104,0**	**109,2**	**101,3**	**102,5**
შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მრეწველობაში მიღებულია პროდუქციის მატება	**83,6 %**		**დაახლოებით 80 %**		**49 %**	
ძირითადი ფონდების ამოქმედება (ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე)	**81,6**	**125,6**	**70,8**	**118,9**	**70,5**	**101,8**
კაპიტალური დაბანდებანი (ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე)	**93,5**	**101,6**	**90,1**	**108,9**	**92,5**	**97,2**
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ექსპლოატაციოდ გადაცემა (ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე)	**102,6**	**152,0**	**76,3**	**124,3**	**96,9**	**139,9**
საკუთარი ძალებით შესრულებულ საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობა	**101,0**	**103,4**	**96,1**	**103,2**	**101,6**	**95,4**
სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა ზეგეგმითი დავალების გათვალისწინებით:						
პირუტყვი და ფრინველი	**120,9**	**102,2**	**110,1**	**106,2**	**125,2**	**107,5**
რძე	**103,3**	**107,7**	**115,6**	**113,6**	**106,2**	**102,7**
კვერცხი	**110,9**	**136,8**	**110,1**	**110,7**	**116,7**	**128,0**
მატყლი	**101,6**	**104,9**	**108,6**	**109,1**	**100,7**	**99,8**
მარცვლეული	**170,6**	**120,7**	**137,7**	**104,4**	**143,2**	**101,1**
კარტოფილი	**71,7**	**88,1**	**105,5**	**119,5**	**107,4**	**148,9**
ბოსტნეული	**94,3**	**118,9**	**118,0**	**122,3**	**128,5**	**126,2**
ხილი	**106,6**	**106,4**	**112,1**	**106,4**	**125,3**	**139,0**

ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თბილისი ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის XXVII პარტიული კონფერენცია. მოხსენება „პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებთან, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი თავის მიმართვის, ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს მოუწოდა სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა ადამიანების მძლავრ მოძრაობას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, უფრო სრულად გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, სრულყონ თავიანთი საქმიანობა, ყვნენ მუდამ წინ, იქ, სადაც ყველაზე მეტია სიძნელე, ხალხს, მისი ინტერესებისა და მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და უნარი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის XXVII პარტიული კონფერენცია

□

ვობა და ქმედითობა, რომლებიც მეომრებს რაზმავენ საბრძოლო მზადყოფნისა და სიფხიზლის დაუცხრომელი ამაღლებისათვის საბრძოლველად. ამასთან მიღწეული სწავლაში, სამსახურში მნიშვნელოვანია იქ, სადაც მეთაურები, პოლიტორგანები, პარტიული ორგანიზაციები, განუხრელად სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, მტკიცედ იცავენ პარტიული ცხოვრების ნორმებს.

პარტიულ კონფერენციაზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **პ. ვ. მელნიკოვი,** საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული პარტიული კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ჯ. ვახრუშევი.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე,** აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ფ. ფ. ველიევი,** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოებს განყოფილების გამგე **მ. მ. დავთიანი.**

პარტიულმა კონფერენციამ ჩაიარა მაღალი პრინციპულობის ნიშნით, არმიელ კომუნისტებს მოუწოდა ფართოდ გაშალონ მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, აგრეთვე იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც მომდინარე სასწავლო წელს არის დასახული არმიისა და ფლოტის წინაშე. (საქინფორმი).

ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲣᲚᲐᲯᲐᲛᲔᲡ რა სამი წლის მანძილზე თავიანთი მუშაობის შედეგები, აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებით გამოყვეს ხუთწლედის გადამწყვეტი წელი. და ეს კანონზომიერია: 1973 წელი ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში, იყო პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის გადაჭრით გარდამქნილი, პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის, სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის წელი, ეს იყო სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სხვა პარტიული დოკუმენტების განხორციელებისათვის აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების დაძაბული ბრძოლის პერიოდი. მთელ თავიანთ მუშაობას ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტებმა საფუძვლად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

მოისმინა რა პარტიის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. კობახიამ**, კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს მიღწეული წარმატებანი, პირველადი პარტორგანიზაციების პოლიტიკურ-მასობრივ და ორგანიზატორულ მუშაობაში შეძენილი გამოცდილება, მაგრამ ძირითადად ილაპარაკეს ხარვეზებზე, ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ მთელი რიგი უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის საოლქო კომიტეტი, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები შეეგუნენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის წარმოებაში, მომსახურების სფეროში არსებულ ბევრ ნაკლოვანებას. აფხაზეთის კომუნისტებმა, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დაშვებული შეცდომების გადაჭრით დაძლევისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ კურსს, 1973 წლის მარტში საოლქო პარტიული აქტივის კრების შემდეგ დაჩქარებული ტემპით მოჰკიდეს ხელი მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

მუშათა კლასისათვის, კოლმეურნე გლეხობისათვის და მშრომელი ინტელიგენციისათვის სიამაყის კანონიერი გრძნობით ილაპარაკეს კონფერენციის დელეგატებმა ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მათ მიერ მიღწეულ წარმატებებზე. აფხაზეთი დასახელებულია 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა რიცხვში და დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლენინური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

აჭარის მრეწველობამ შარშან მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, გამოშვებულია თითქმის 13 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ვადამდე შესრულა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს საზღვაო სანაოსნომ.

თავდადებული შრომისა და მაღალი ზედნების შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებენ მეჩაიეები, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს გეგმითა და ვალდებულებით გათვალისწინებულზე 6.834 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მათ მნიშვნელოვნად გაადიდეს ჩაის ჰექტარობრივი მოსავლიანობა და ამით მიაღწიეს 1975 წლისათვის დასახულ დონეს. მათი შრომა ღირსეულ შეფასებული.

განვლილი წლის მონაცემები, აღინიშნა კონფერენციაზე, მოწმობენ, რომ სახელმწიფო დავალებათა შესრულება აჭარაში თანდათანობით სტაბილური ხდება. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში არის დადებითი ძვრები.

ყოველივე ეს, აღინიშნეს დელეგატებმა, იმის შედეგია, რომ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელიც საპროგრამო დოკუმენტია რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.“

დადგენილებაში მთელი პრინციპულობით არის აღნიშნული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაუშვა ეკონომიურ, ორგანიზაციულ-პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობაში, დასახულია მათი გამოსწორების გზები.

მაგრამ, როგორც ორატორებმა აღნიშნეს, ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებას აჭარაში ნელა შეუდგნენ, დიდი დრო მოანდომეს მზადებას.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, აღინიშნა კონფერენციაზე, რამდენადმე გაუჯობესდა მდგომარეობა კაპიტალურ მშენებლობაში. მაგრამ სამშენებლო-სამონტაჟო გეგმები კვლავინდებურად არ სრულდება.

აფხაზეთის მატერიალური წარმოების წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. 1972 წელს კოლმეურნეობების მთლიანი პროდუქცია 1970 წელთან შედარებით გაზრდილა 12,2 მილიონი მანეთით. შესაბამისად გაზრდილა საზოგადოებრივ მეურნეობათა ძირითადი სახსრები და ფასუყფელი ფონდები. ამ ხნის მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა თითქმის 97 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმაზე 9203 ტონით მეტია, თამბაქო — 15146 ტონა, ანუ დავალებას 1246 ტონით მეტი. მიღებულია 787 ტონა ამრეშუმის პარკი, გეგმის გადაჭარბებით დამზადებულია ორი ათასი ცენტნერი ხორცი, 240 ცენტნერი რძე, 1200 ათასი ცალი კვერცხი.

1973 წელს ეს მაჩვენებლები გაუმჯობესდა. მიღებულია ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი — 56.043 ტონა, ვალდებულებაზე 5139 ტონით მეტი. სულ კი სამი წლის განმავლობაში ჩაის ფაბრიკებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიიღეს 19 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ნედლეული.

მაგრამ აფხაზეთის მეჩაიეები არ სარგებლობენ მიღწეულს. ოთხ კოლეგიუმზე აღინიშნა დელეგატმა — ონჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **ა. ვოიტაამ**, ბევრი მეჩაიე უკვე წელს აპირებს გავიდეს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ მიჯნებზე.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობები ჰქონდათ მეთამბაქოეებს, ამ ძვირფასი კულტურის სამი წლის გეგმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ მთლიანად გადაჭარბებით შეასრულა.

ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის აფხაზეთის სოფლის მეურნეობის 754 მოწინავე ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა. წარჩინებულ მეჩაიეებს მარიამ არძინბას, ცაცა ქიხდავას, აღექსანდრა ვოუბას სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდებანი მიენიჭათ.

ამასთანავე კონფერენციის დელეგატებმა შეშფოთებით აღნიშნეს, რომ ხუთწლედის დავალებას ჩამორჩება ბოსტნეულის, ეთერეზეთოვანი კულტურების, ყურძნის, სიმინდის, ხილისა და სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მიცულობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბალია ჩაის პლანტაციების სამუალო მოსავლიანობა.

სუსტად ინერგება ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია. ეს მეტად სოლიდური რეზერვია, და იგი უნდა ჩავაყენოთ წარმოების სამსახურში, რაც შიძლება სწრაფად.

იგივე სურათია მეთამბაქოობაშიც. მთელ რიგ მეურნეობებში „სამსუნის“ დარგვისა და მოვლა-მოყვანის ვადების აგროტექნიკური წესების უხეში დარღვევების გამო მეთამბაქოეებს დიდი დანაკარგები აქვთ, და მრეწველობას ბევრი ძვირფასი ნედლეული აკლდება. თამბაქოს ხარისხის გაუარესების შედეგად კოლმეურნეობებმა 1972 წელს მისი ოცალიზაციის შედეგად მიიღეს 5,5 მილიონი მანეთით ნაკლები, ვიდრე წინა წელს.

ჰექტარობრივი მოსავლიანობის ამაღლების პრობლემა დგას აფხაზეთის მესიმინდეებზე, მებოსტნეების, მევენახეების წინაშეც. და ეს პრობლემა მეურნეობათა კოლექტივებმა უნდა გადაწყვიტონ უწინარეს ყოვლისა პარტიულ ორგანიზაციათა ყველაზე აქტიური და ეფექტიანი დაბპარების შედეგად, რათა აფხაზეთი, როგორც ითქვა გასული წლის მარტში გამართულ პარტიული აქტივის კრებაზე, გადაიქცეს სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიად.

კონფერენციაზე პრინციპულად დაისვა მიწათსარგებლობის საკითხები. გასული წლის დამლევს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა მიწის კანონის მოცლი რიგი დამრღვევები. მაგრამ, თქვეს კონფერენციის დელეგატებმა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრმა 1917 წლიდან **ა. ჯიქიამ**, ჯერ კიდევ ყველა დამრღვევი როდია გამოვლენილი, მათ მიმართ ჯერ კიდევ იჩენენ შემწყნარებლობას, გაუგებარ ლიბერალიზმს. აღინიშნა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი ვერ ახორციელებდა მკაცრ კონტროლს მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური სახნაოთ მშენებლობის წესების შესახებ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისადმი.

ბოლო დროს, ხელმძღვანელობენ რა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, აგრეთვე „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური სახნაოთ მშენებლობის წესების უხეშ დარღვევათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კონფერენციაზე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.**

ამხ. ძოწენიძემ ილაპარაკა კომუნისტმა, ყველა მშრომელის დიდ წყალილზე ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ წარმატებებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მან აჭარის სოფლის მშრომელებს მიულოცა ბამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში, საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ აჭარის მშრომელები კვლავაც გამოიჩენენ მაღალ შრომითსა და საზოგადოებრივ აქტივობას, წარმატებით განახორციელებენ ხუთწლედის დავალებებს.

ამხ. ძოწენიძემ მიულოცა აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფელ წყაფროკის მოწინავე მეჩაიეს, ლენინის ორდენის კავალერს ნ. ჯიბუპარაძეს, კონფერენციის დელეგატს, რომელსაც ახლახან მიეხაა სოციალისტური შრომის გმირის სპატენი წოდება.

ორატორმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია მთელ რიგ გადაუჭრელ საკითხებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, იმაზე, რომ საჭიროა მთელი იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თქვა ამხ. ძოწენიძემ, გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაცია გამოიტანს შესაბამის დასკვნებს ღღეგანდელი კრიტიკიდან, სათანადო ჩაუდგება ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას 1974 წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე, მთლიანად და, გადაჭარბებით შესრულებისათვის და ამით ღირსეულ წვლილს შეტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ვასილიევი.**

გაიმართა პარტიის აფხაზეთის ახალარჩეული საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმზე აირჩია ვ. ქობახია, მეორე მდივნად — ა. სასუვარელიძე, მდივნებად — გ. ხვარწკია და თ. ფიოდოროვა.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ დიდი აქტივობის ვითარებაში, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ პირველმა აჭარის XXXIII საოლქო პარტიულმა კონფერენციამ.

კონფერენციამ მოისმინა პარტიის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თხილაიშვილმა.**

კონფერენციის დელეგატ ოცდაუთო ორატორს — მუშებს, მეჩაიეებს, რომელთა შორის იყვნენ სკკპ XXIV ყრილობის მონაწილენი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პიონერული მუშაკები, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, — აჭარელი კომუნისტების სახელით, რომლებმაც ისინი ამ ფორუმზე აირჩიეს, მეტად გულახდილი, — პრინციპული სკა-ბაასი ჰქონდათ უკანასკნელი წლების მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებიც ძის მშრომელებს ხელს უშლიდნენ მუშაობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკეთესი მაჩვენებლების მიღწევაში.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ აჭარას ჰქონდა და აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა მისცეს საამობლოს, მეტი ჩაი, ციტრუსი, თამბაქო, სამრეწველო პროდუქცია. ამის საუკეთესო დადასტურებაა წარმატებანი, რომლებსაც ავტონომიურმა რესპუბლიკამ მიაღწია მიუხედავად იმისა, რომ იყო ნაკლოვანებანი და ჯეროვნად ვერ აფასებდნენ მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულ მეთოდებს.

სამი ორდენი, რომელიც აჭარის ასსრ ხელოვნებამ აშენებს, აჭარელ მშრომელთა იმ დიდ შესაძლებლობათა დადასტურებაა, რომლებიც უკეთ და უფრო ნაყოფიერად უნდა გამოიყენებინა ოლქის პარტიულ ორგანიზაციას.

რესპუბლიკის მშრომელთა ახალი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** გამოსვლაში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

აჭარის მრეწველობამ შარშან მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, გამოშვებულია თითქმის 13 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ვადამდე შესრულა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს საზღვაო სანაოსნომ.

თავდადებული შრომისა და მაღალი ზედნების შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებენ მეჩაიეები, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს გეგმითა და ვალდებულებით გათვალისწინებულზე 6.834 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მათ მნიშვნელოვნად გაადიდეს ჩაის ჰექტარობრივი მოსავლიანობა და ამით მიაღწიეს 1975 წლისათვის დასახულ დონეს. მათი შრომა ღირსეულ შეფასებული.

განვლილი წლის მონაცემები, აღინიშნა კონფერენციაზე, მოწმობენ, რომ სახელმწიფო დავალებათა შესრულება აჭარაში თანდათანობით სტაბილური ხდება. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში არის დადებითი ძვრები.

ყოველივე ეს, აღინიშნეს დელეგატებმა, იმის შედეგია, რომ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელიც საპროგრამო დოკუმენტია რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.“

დადგენილებაში მთელი პრინციპულობით არის აღნიშნული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაუშვა ეკონომიურ, ორგანიზაციულ-პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობაში, დასახულია მათი გამოსწორების გზები.

მაგრამ, როგორც ორატორებმა აღნიშნეს, ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებას აჭარაში ნელა შეუდგნენ, დიდი დრო მოანდომეს მზადებას.

როგორც ამის შედეგი — მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი ჯერ ისევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაგეგმილს, მაღალია მისი თვითღირებულება, ბევრი გადაუჭრელი საკითხია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვაში. კვლავ ჩამორჩენილნი ისეთი კოლექტივები, როგორიცაა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხნები.

მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა 9 საწარმომ, პროდუქციის რეალიზაციის დავალება — 7 საწარმომ. ოლქში დამკვიდრდა გეგმების კორექტირების მანკიერი პრაქტიკა. საახალგაზრთა პერიოდში საგეგმო დავალებებში კორექტივები შეიტანა 24 სამრეწველო საწარმომ, აქედან შვიდმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმომ. ამას, აღნიშნეს ორატორებმა, ხელი შეუწყო ზოგიერთმა საკავშირო და რესპუბლიკურმა სამინისტრომ და უწყებამ, რომლებიც ნაკლები წინააღმდეგობის გზას დაადგნენ და შეამცირეს გეგმები.

კონფერენციაზე აღინიშნა ჩამორჩენა კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაში. რესპუბლიკის მოსახლეობას დააკლეს 51 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აშენებული სახლები კი ხშირად უხარისხოა, საექსპლოატაციოდ გადაცემა ნაჩქარევად ხდება, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, არის სერიოზული პრობლემები სოფლის მეურნეობაში, წლების მანძილზე არ სრულდება მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — სიმინდის, კარტოფილის, ხილის წარმოების გეგმები, ძლიერ ჩამორჩება მეცხოველეობა.

ყოველივე ეს, ითქვა კონფერენციაზე, მრეწველობისადმი, სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, ყველა იმათი პირადი პასუხისმგებლობის შესუსტების პირდაპირი შედეგია, ვინც პასუხი უნდა აგოს მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის.

კიდევ უფრო ცუდადაა დასახული მიჯნების მიღწევის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საქმე.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბევრი ორატორის ყურადღების ცენტრში კვლავ იყო წარსული ისეთი მანკიერი გადმონაშთები, როგორიცაა რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება, არასრულწლოვანთა გათხოვება, დანიშვნა ბავშვობაში და ასე შემდეგ.

პარტიის საოლქო კომიტეტმა, მისი პრეზიდიუმის და აგიტაციის განყოფილებამ ყოველივე ამას ვერ დაუპირისპირეს ღონისძიებათა მიზანდასახული, კარგად მოფიქრებული მწყობრი სისტემა. და ეს მაშინ, როცა გეგეკნის ისეთი საპროგრამო დოკუმენტი, როგორიცაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აჭარაში იდეოლოგიური მუშაობის შესახებ. მშრომელთა იდეურ აღზრდაში თითქმის არ მონაწილეობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, კულტურის მუშაკები. ცუდად მუშაობს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, რომელიც წლიურ-წლობით უშვებს იდეური და მხატვრული თვალსაზრისით სუსტ წიგნებს. სათანადო დონეზე არა დგას ლიტერატურული კრიტიკაც. სხვაგვარად, თქვეს ორატორებმა, რით აიხსნება ის, რომ გამოიცა ისეთი ბუნდოვანი, არაფრის „მთქმელი „ქმნილებანი“, როგორიცაა ლ. სეიდიშვილისა და რ. ართილაყვას ლექსთა კრებულები?

განსაკუთრებით მწვავედ იდგა კონფერენციაზე კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხი. მრავალი წლის მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში უხეშად არღვეოდა კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპი. ცალკეული მუშაკები, რომლებმაც ჩაშალეს მუშაობა, დასჯის ნაცვლად გადაჰყავდათ სხვა, არანაკლებ პასუხსაგებ სამუშაოზე, საკმარისად არ აწინაურებდნენ ნიჭიერ ახალგაზრდობას. საერთოდ, თქვეს დელეგატებმა, პარტიის საოლქო კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა აჭარის კომკავშირული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობას.

ბუნებრივია, აღინიშნა კონფერენციაზე, რომ ასეთი ადამიანები არ სარგებლობენ მშრომელთა ნდობითა და ავტორიტეტით, აქვთ შეცდომები და ხშირად იდგებიან თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზას.

ბევრი საყვედური გამოითქვა ადმინისტრაციული ორგანიზების მიმართ, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახლებურად.

ჯერ კიდევ ბევრ საყვედურს იწვევს სავაჭრო საწარმოების, საყოფაცხოვრებო სამსახურების, ტრანსპორტის მუშაობა.

კონფერენციის დელეგატების განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ავტონომიურ რესპუბლიკაში სამედიცინო მომსახურების, აჭარის მაღალი მთის რაიონების სამედიცინო და პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობამ. სამწუხაროდ, თქვეს ორატორებმა, მაღალი მთის რაიონების ყოფაცხოვრება არ გასდა პარტიის საოლქო კომიტეტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

აჭარის XXXIII პარტიული კონფერენციის მთელმა მუშაობამ ჩაიარა არსებულ ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზის და სწორი, კრიტიკული შეფასების ნიშნით.

პარტიის წევრმა 1917 წლიდან **ა. თალაკვაძემ**, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, მეჩაიე **გ. ჭანიძემ**, ხელოს რაიონის სოფელ დანისპარაულის მწყემსმა **ს. ხოზრევანიძემ**, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშამ **კ. შენგელიამ**, საქართველოს სახლეთა ნაოსნობის უფროსმა **ა. კაჭარავამ** და კონფერენციის სხვა დელეგატებმა თქვეს, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კონკრეტული დახმარებით აღფრთოვანებული აჭარის მშრომელები, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრებისადმი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრულონ წლიური დავალებანი, მიღებული შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი, განუხრელად იბრძოლონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მოიპოვონ ახალი დიდი წარმატებანი სამეურნეო-ეკონომიური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კონფერენციაზე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.**

ამხ. ძოწენიძემ ილაპარაკა კომუნისტმა, ყველა მშრომელის დიდ წყალილზე ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ წარმატებებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მან აჭარის სოფლის მშრომელებს მიულოცა ბამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში, საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ აჭარის მშრომელები კვლავაც გამოიჩენენ მაღალ შრომითსა და საზოგადოებრივ აქტივობას, წარმატებით განახორციელებენ ხუთწლედის დავალებებს.

ამხ. ძოწენიძემ მიულოცა აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფელ წყაფროკის მოწინავე მეჩაიეს, ლენინის ორდენის კავალერს ნ. ჯიბუპარაძეს, კონფერენციის დელეგატს, რომელსაც ახლახან მიეხაა სოციალისტური შრომის გმირის სპატენი წოდება.

ორატორმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია მთელ რიგ გადაუჭრელ საკითხებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, იმაზე, რომ საჭიროა მთელი იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თქვა ამხ. ძოწენიძემ, გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაცია გამოიტანს შესაბამის დასკვნებს ღღეგანდელი კრიტიკიდან, სათანადო ჩაუდგება ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლას სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, ეფექტიანი ბრძოლა გაიმართოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ინტერნაციონალიზმისა და ინტერნაციონალური აღზრდის, ინტერნაციონალური ერთიანობის, ეროვნული ურთიერთობების ჯანსაღ საფუძველზე, ეროვნული ნიჰილიზმის, ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული ეგოცენტრიზმის, ეროვნული ნაციონალიზმის, ეროვნული შოვინიზმის, ეროვნული ბოროტებანი, ეროვნული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ეროვნული ბურჟუაზიული ინტერნაციონალიზმის, ეროვნული ოპორტუნიზმის, ეროვნული ოპორტუნიზმის, ეროვნული ოპორტუნ

ერთიან მწყობრში — ხუთწლედის მიჯნებისაკენ

ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეჯიბრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიან, ძმურ ოჯახში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. აქტიურად იბრძვიან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მშრომელები.

ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება მათ შორის ყოველდღიურად ფართოვდება და ვითარდება, ღრმავდება სამრეწველო საწარმოთა, სამეცნიერო და შემოქმედებით დაწესებულებათა კოლექტივების კავშირურთიერთობა.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები, რომლებსაც აკავშირებს ლენინური მეგობრობა, ამოძრავებს ერთიანი გრძნობები და აზრები, გულუხვად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ეხმარებიან შრომის ნაყოფიერების გაზრდების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, სახელმწიფოთა ხალხისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ ყველა საბჭოთა ადამიანი აღაფრთოვანეს ახალი მიღწევებისათვის კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალები მოგვითხრობენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მშრომელების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და სიძნელეებზე, 1974 წლის იმ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულების გზებზე, რომლებსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ იმარჯვებენ

გ. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ფიან, შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ იმარჯვებენ, შეგვიძლია ეუწოდოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ძმურ შრომითს ასპარეზობას. მას დღითიდღე სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა, დღითიდღე სულ ახალი და ახალი მონაწილენი ებმებიან შეჯიბრებაში.

ახალ, 1974 წელს საბჭოთა საქართველოს მშრომელები, შეიძლება ითქვას, კარგი გუნება-განწყობიერებით შეხვდნენ, და ამის საფუძველიც აქვთ. ამ დღეებში გამოქვეყნებული საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მოწმობს, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი რესპუბლიკამ კარგი შედეგებით დაამთავრა.

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე, 21 დეკემბერს, შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა.

საშუალო რესპუბლიკურზე უფრო უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ. მაგალითად, ერთ წელიწადში ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 11,6, ელექტროტექნიკური მრეწველობისა — 14, ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობისა — 13,4 პროცენტით, ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობისა — 1,6-ჯერ.

ჩვენი მრეწველობის მუშაობა მიმდინარეობდა არა მარტო ზაოგანობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუჯობესების ნიშნითაც. ერთ წელიწადში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 6 პროცენტით. ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის ზრდის შედეგად მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 83,6 პროცენტი. შესრულდა მოგების დავალება, გადიდდა ძირითადი ფონდების უკუგება. შეწყდა შემცირების მიზნით გეგმების კორექტირების უმართებულო პრაქტიკა. პირიქით, რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კოლექტივებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და გამოუყენებელი რეზერვები და იკისრეს 1974 წლის დაძაბული შემხვედრი გეგმები და ვალდებულებანი.

უფრო რაციონალურად იყენებენ სამუშაო დროს, მატერიალურ და შრომითს რესურსებს. და ყოველივე ეს ისახა პროდუქციის ხარისხში: საქართველოს მრეწველობის 53 სახეობის ნაწარმს 1973 წელს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს ასრულებენ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

1973 წელს 1972 წელთან შედარებით შესყიდულია მეტი მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, კუკოვანი და თესლოვანი ხილი, ციტრუსები, დაფნის ფოთოლი, ეთერზეთოვანი კულტურები, ბოსტნეული და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევეხოთ მეჩაიეებს, რომლებიც შარშან ხუთწლედის მიჯნაზე გამოვიდნენ. მათ მოკრეფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს თითქმის 290 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, მაშინ როცა მეცხრე ხუთწლიანი გეგმით 1975 წლისათვის გათვალისწინებულია 285 ათასი ტონა.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა. მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა ზეგეგმითი დავალების გათვალისწინებით შესრულდა 170,6 პროცენტით — სახელმწიფოს მიეყიდა 168 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული.

1973 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის წარმატებათა შესახებ წარმოდგენას ძლევა ზოგიერთი ციფრი. მაგალითად, მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი ერთ წელიწადში გაიზარდა 313 მილიონი მანეთით, ანუ 6,3 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ გადააჭარბა 5.147 მილიონ მანეთს და ერთ წელიწადში გადიდდა 351 მილიონი მანეთით, ანუ 7,3 პროცენტით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობამ შეადგინა 1.155 მილიონი მანეთი, რაც 15 პროცენტით აღემატება წინა ხუთწლედის საშუალო წლიურ წარმოებას.

მნიშვნელოვანი ძერებია მიღწეული საქმიანობის არამატერიალურ სფეროშიც. დიდი ღონისძიებანი განხორციელდა სახალხო მეურნეობის ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების, ხარვეზებისა და შეცდომების აღმოსაფხვრელად, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ასამაღლებლად, იდეოლოგიური მუშაობის გასაძლიერებლად. პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების აღსადგენად, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღსაკვეთად.

საქართველოს მშრომელები მტკიცედ მიდიან წინ დღის წესრიგში მდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის გზაზე.

მაგრამ ეს წარმატება თავისთავად როდი მოვიდა. იგი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნეგლეხობისა და ინტელიგენციის დაუცხრომელი და დაძაბული შრომის შედეგია. ეს არის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის დიდი და დაძაბული ორგანიზატორულ-პოლიტიკური და აღმზრდელობით-იდეოლოგიური მუშაობის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია, რომელშიც შევიდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, პროფკავშირების, სამინისტროების, უწყებების, პრესის ორგანოების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელი მუშაკები, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები, მეცნიერები. ამ ავტორიტეტულმა კომისიამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე მეთაურობს, დიდი როლი შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებების კიდევ უფრო მაღალი ორგანიზებულობის, სიჯარობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაში.

ჩვენი მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის 1.200 ათასზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, სპეციალისტი და მოსამსახურე მონაწილეობდა 1973 წელს რესპუბლიკაში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. გაფურთოვდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიგები — ამ მოძრაობაში მონაწილეობდა ინდივიდუალური ვალდებულებებით მომუშავე 500 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 200 ათასზე მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ერთი წლის წინათ თბილისის საწარმოების — დიმიტროვის სახელობის ბამბეულეულის, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნების კოლექტივებმა, სოფლების ხუცუბნისა და ტყვიავის მშრომელებმა მოიწოდეს რესპუბლიკის მშრომელებს დაეწყოთ მოძრაობა შრომის მაღალი დისციპლინისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის. ამ მოძრაობამ, რომელაც შეტევითი ხასიათი ჰქონდა, დასაბამი მისცა ახალ პატრიოტულ წამოწყებებს სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში.

საქართველოში გვაყვს ბევრი შესანიშნავი მუშა, ახალ თაოსნობათა წამომწყები. არ შეიძლება არ მოგვიხსენოთ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ხაზარაძე ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა ორ წელიწადსა და ცხრა თვეში ვადამდე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის რაციონალიზატორული ფონდის შექმნის სოციალისტური ვალდებულებანი. ბრიგადამ დანერგა 91 წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 209,8 ათას მანეთს შეადგენს, მაშინ როცა ხუთწლიანი ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 120 ათასი მანეთი.

ახალი შინაარსი შესძინა სოციალისტურ შეჯიბრებას პროფესიების მიხედვით სოფლის მეურნეობაში პირველი ხუთწლედების გმირების — მეჩაიე თ. ყუფფინაშვილის, მესიმინდის ჩ. ქვაჩახიას, საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი პიონერის კ. ჩიხელის, მევენახე მ. მექვეტრიშვილის სახელობის ყოველწლიური პრიზების დაწესებამ. იმათ შორის, ვინც ეს პრიზები მოიპოვეს გასულ წელს მუშაობის შედეგების მიხედვით, არის მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის მეჩაიე ა. ტოროტაძე, რომელმაც 8 ათასი კილოგრამის გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ეს ამაღლებულ ადგილზე მდგომი ფორმა, ეს ეფექტიანი ფორმა ეხმარება ჩვენ ქვეყანას ეკონომიკის, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ორგანიზაციის, ადამიანთა ურთიერთობის, ადამიანთა ცნობიერების ყველა ასპექტის ინტენსიურ განვითარებაში.

ეს ფორმა ეხმარება ადამიანებს, ეხმარება ადამიანებს, ეხმარება ადამიანებს,

მსოფლიო დღეს

ისტორიული ვიზიტის აღსანიშნავად

ხპკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტმა კუბაში ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია თავისუფლების კუნძულზე. ვიზიტისათვის მზადების დროს და განსაკუთრებით ქვეყანაში საპატიო ხბჭოთა სტუმრის ყოფნის დღეებში კუბის ყოველი კუთხიდან, ქარხნებიდან, მშენებლობებიდან, ნავსადგურებიდან მოდიოდა ცნობები, რომ ამ ისტორიული ვიზიტის აღსანიშნავად გაჩაღდა ხოციალისტური შეჯიბრება. ახლა, როცა დამთავრდა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი, ჯამდენენ შეჯიბრების შედეგებს. გაზეთები იუწყებიან, რომ შრომითი გამარჯვებანი მოიპოვეს მეტალურგებმა და შაქრის ლერწმის მჭრელებმა, მშენებლებმა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. გადაჭარბებით შესრულა ნაკისრი ვალდებულებანი და გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქცია გამოუშვა ქალაქ სანტიაგო-დე-კუბას ხბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის სახლსაშენებელმა კომბინატმა. ვიზიტის დღეებში ხბჭოთა ხავაკრო გემების მეზღვაურებთან ერთად კარგად იშრომეს ჰავანისა და მარიელის ნავსადგურების მუშაკებმა, რომლებმაც რეკორდულად მოკლე ვადებში დაამუშავეს ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი. ხბჭოეთის წარმომადგენლის ვიზიტს მიუძღვნეს თავიანთი მესამემილიონე არობი შაქრის ლერწამი (ერთი არობი უდრის 11,5 კილოგრამს) ემილიო როდრიგეს კურბელოს სახელობის ბრიგადის მჭრელებმა.

კუბელ მაჩეტეროსებს ახლა ალოობა აქვთ — გახურებული საფრაა. მცხუნვარე მზის მიუხედავად, შაქრის ლერწმის მჭრელები თავდადებით შრომობენ პლანტაციებში, შაქრის ქარხნებს შეუფერხებლად ამარაგებენ ნედლეულით. წლევანდელ საფრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოხავლის მექანიზებულ აღებას. წელს მაჩეტეროსებს დაეხმარება მოსკოვის ოლქის ქალაქ ლიუბერცის უხტომსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანაში შექმნილი „კტპ-1“ მარკის 10 ლერწმის ასაღები კომბაინი. ერთი ასეთი კომბაინი 100 გამოცდილი მჭრელის შრომას შეცვლის.

კომბაინები კუბის მინდვრებში კუბა-საბჭოთა კავშირის ძმური თანამშრომლობის ერთადერთი შედეგი როდია, მისი ნაყოფია ახალი ელექტროსადგურები და შაქრის ქარხნები, მეტალურგიული საწარმოები და ქიმიური სასუქების ქარხნები და მრავალი სხვა. მოძმე საბჭოთა ხალხისადმი კუბელი ხალხის გულითადი გულწრფელი მეგობრობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დღეებში. ჩვენ ვნახეთ, რა აღტაცებათა და ზეიმით მიესალმებოდა ახალთახლობილი კუბელი საბჭოეთიდან ჩამოსულ საპატიო სტუმარს. აი რა თქვა ჩვენთან საუბარში კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკმა ნილდა გარიგამ: „ენით ვერ გამომთქვამს ჩემი აღტაცება და სიხარული. თქვენ თავად ხედავთ, რომ კუბელი ხალხი ამხანაგ ბრეჟნევს ეგებება როგორც უველაზე ძვირფას, საუკეთესო მეგობარს“. „ისევე როგორც ყოველი კუბელი, — გვითხრა ჰავანის ავტობუსის ქარხნის საპროექტო ბიურის თანამშრომელმა უგო ბუსონ სითბარმა, — მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს ქვეყანას პირველად ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. ჩვენ ამხანაგ ბრეჟნევს ვიცნობთ როგორც კუბის დიდ მეგობარსა და გამოჩენილ მებრძოლს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ისტორიული ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი მოძმე ხალხების შემდგომ დაახლოებას და ხბჭოთა კავშირ-კუბის ურღვევი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას“.

ვ. პოლიკარპოვი,
(საკდესის კორ.).

ჰავანა,

ა. ა. გრომიკოს და ჰ. კისინჯერის შეხვედრა

ვაშინგტონი, 5 თებერვალი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო გუშინ შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰ. კისინჯერს. მათ შორის გაიმართა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო ფართო წრის საკითხებზე.

შეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 5 თებერვალი. (საკდესი). თეთრ სახლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის შეხვედრა. საუბრის დროს, რომელსაც საქმიანი და კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, განიხილეს ხბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები და აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი.

პრეზიდენტ რ. ნიქსონისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ შეხვედრაზე განიხილეს ფართო წრის საკითხები, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორიცაა ხბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობა, ახლო აღმოსავლეთის ეენგვის საზავო კონფერენცია, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკების დროს მიღწეული პროგრესი, ევროპის უშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემები.

წარმომადგენელმა განაცხადა აგრეთვე, რომ რ. ნიქსონმა და ა. ა. გრომიკომ „ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საკითხებზე, რომლებიც განხილულ იქნება, როცა პრეზიდენტი ნიქსონი ეწვევა ხბჭოთა კავშირს“.

ამერიკის გიუჯეტის პროექტი

ვაშინგტონი, 5 თებერვალი. (საკდესი). კონგრესს შემოერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეეხება 1974-1975 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტს და შეფასებულია ქვეყნის ახლანდელი ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობა.

პრეზიდენტი აღიარებს, რომ შეჯრეთელი შტატები კვლავ განიცდის სერიოზულ ეკონომიურ და ფინანსურ სიძნელეებს. დამთავრებული 1973 წელი, ნათქვამია წერილში, აღინიშნა „სასტიკი ინფლაციით“ და სურსათის ფასების მკვეთრი ზრდით. ამჟამად ნელდება ეკონომიური განვითარების ტემპი, რასაც თან სდევს უმუშევრობის ზრდა.

რ. ნიქსონი აღნიშნავს დადებითს ცვლილებებს საერთაშორისო ვითარებაში ამ ბოლო წლების მანძილზე, განსაკუთრებით ეხება ხბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის გაფართოებას, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში შეთანხმებების დადებას, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს. პრეზიდენტი კონგრესს მოუწოდებს მოიწონოს კანონპროექტი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, ხბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას.

მაგრამ, საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, პრეზიდენტი წინადადებას იძლევა ხარჯები სამხედრო მიზნებისათვის მიმდინარე წლის 80,6 მილიარდი დოლარიდან გაიზარდოს 87,7 მილიარდ დოლარამდე და ამას ასაბუთებს ამერიკის შეერთებული შტატების „ეროვნული უშიშროების“ ინტერესებით. როგორც წერილი მოწმობს, უპირველესი მნიშვნელობა დაეთმობა ახალ სტრატეგიულ სახეობათა შეიარაღების შემუშავებას.

მეგობრობის ხელშეკრულება

ბუქარესტი, 5 თებერვალი. (საკდესი). „რუმინეთისა და ხბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პირველი ხელშეკრულება დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო, რამაც უდიდესი პოლიტიკური ზემოქმედება მოახდინა ორი ქვეყნისა და ხალხების ურთიერთობის განვითარებაზე“. ამ აზრს უსვამს ხაზს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „სკინტეია“ სტატიაში, რომელიც ხელშეკრულების 20 წლისთავს ეძღვნება.

დაძაბული სიტუაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, საგონის სამხედრო სარდლობამ გამოაცხადა, რომ მისი ჯარები „პატრულობენ სადავო სპრატლის კუნძულებს“. საიგონმა, განაგრძობს საგენტო, მას შემდეგ, რაც იგი ჩინეთმა განდევნა პარასელის კუნძულებიდან ორი დღის ომის შემდეგ ნახევარი თვის წინათ, სპრატლის კუნძულების მიმართულებით გაგზავნა გასულ კვირაში ორი სამხედრო ხომალდი და სატრანსპორტო გემი, რომელშიც არის 200 სამხედრო მოსამსახურე. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი ამტკიცებს, საიგონს განზრახული აქვს გაგზავნოს სპრატლიზე დამატებითი შეიარაღებული ძალები, რათა შეინარჩუნოს კუნძულები.

სპრატლი, აღნიშნავს საგენტო, მდებარეობს 800 მილზე ჩინეთის სამხრეთით, 250 მილზე სამხრეთ ვიეტნამის აღმოსავლეთით და 200 მილზე ფილიპინების დასავლეთით. ყველა ზემოხსენებული მხარე ინარჩუნებს ამ კუნძულებს.

პეკინი, 5 თებერვალი. (საკდესი). სინჰუას ცნობებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც კუნძულებს ნანშაიუნდაოს (სპრატლი), სიშაიუნდაოს (პარასელის კუნძულები), აგრეთვე მთელ რიგ სხვა კუნძულებს, რომელთა სახელმწიფოებრივ კუთვნილებაზე პრეტენზიას აცხადებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე ქვეყანა, უწოდა „ჩინეთის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი“. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, დასძინა იმავე წარმომადგენელმა, „არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ნებას ხელყონ ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი“.

ტელეტაიპის ლენტიდან

ისრაელის რეპრესიები

□ ბეირუთი, 5 თებერვალი. (საკდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებამ კვლავ მასობრივ დაპატიმრებას მიმართეს დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე.

პალესტინის საინფორმაციო საგენტოს ცნობით, ღაზის სექტორში უკანასკნელ ხანს დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული არაბი. მათ წაყენებული აქვთ სტანდარტული ბრალდება — პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობა.

ახალი დანიშვნები

□ კაირო, 5 თებერვალი. (საკდესი). ალი ამინი, რომელიც 1965 წლიდან ინგლისში იმყოფებოდა, დანიშნა ეგვიპტის უძველესი გაზეთის „ალ-აჰრამის“ პასუხისმგებელ რედაქტორად მუჰამედ ჰასანეინ ჰეიკალის ნაცვლად, რომელიც 1957 წლიდან ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო. მ. ჰ. ჰეიკალი განთავისუფლებულია აგრეთვე გამომცემლობა „ალ-აჰრამის“ ადმინისტრაციული საბჭოს თავჯდომარის მოვალეობისაგან. საბჭოს თავჯდომარედ დანიშნა პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ინფორმაციის მინისტრი აბდელ კადერ ჰატემი.

პრეზიდენტის დეკრეტით მ. ჰ. ჰეიკალი დანიშნა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველად ბეჟდვითი სიტყვის საკითხებში.

რასისტების დანაშაული

□ ლუსაკა, 5 თებერვალი. (საკდესი). ბოტსვანაში პლასტიკური ბომბის აფეთქებით მოკლულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი აბრაჰამ ტერო. როგორც დღეს ბოტსვანის თავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, ა. ტერო დაღუპა წარსულ პარასკევს მას შემდეგ, რაც გასხა ბანდეროლი ასაფეთქებელი მოწყობილობით.

არჩევნები ლიხტენშტეინში

□ ჟენევა, 5 თებერვალი. (საკდეკი). გასული კვირის დამლევს გაიმართა ლიხტენშტეინის სამთავროს — შვეიცარიასა და ავსტრიას შორის მდებარე პატარა სახელმწიფოს პარლამენტის არჩევნები. პარლამენტში 15 ადგილიდან 8 ადგილი მიიღო პროგრესულმა ბიურგეოოულმა პარტიამ, მაშინ, როცა მეორე პარტიამ — სამამულო კავშირმა 7 ადგილი მოიპოვა. ორივე პარტია შექმნის სამთავრობო კოალიციას, და მთავრობას ახლა უმეთაურებს პროგრესული ბიურგერული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვალტერ კიბერი.

კენჭისყრაში მონაწილეობდნენ მხოლოდ მამაკაცები. ლიხტენშტეინში ქალებს არა აქვთ საარჩევნო უფლებანი.

მეორე ეტაპი დამთავრდა

□ კაირო, 5 თებერვალი. (საკდესი). დამთავრდა სუეცის არხის დასავლეთ ნაპირიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მეორე ეტაპი. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე გუშინ შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების კონტინგენტი. დღეს ამ ტერიტორიას გადასცემენ ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს.

დღესვე იწყება არხის დასავლეთი ნაპირიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მესამე ეტაპი.

ფაქტები

სცენაზე არიან თვითმოქმედი მსახიობები

ჩვენს ქვეყანაში მომდინარეობს საგიტაციო-მხატვრული ბრიგადებისა და საგიტაციო თეატრების ხრულიად საკავშირო დათვალიერება. ხოხუმში გაიმართა აფხაზეთის ექვსი აგიტკოლექტივის საოლქო დათვალიერება და გაიმარჯვა გაგრის მეცეტრუსეობის ხაბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის აგიტბრიგადამ.

სურათზე: სცენაზე არიან გაგრის მეცეტრუსეობის ხაბჭოთა მეურნეობის თვითმოქმედი მხახიობები.

ი. ჰოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲛᲘᲜᲓᲘ

მზე და ყინვა

თუმცა დღისით ცა მოწმენდილია, მზე უხვად დაგვნათის, მაგრამ ზამთრის სუსხი მაინც ძვალსა და რბილში ატანს. განსაკუთრებით ბატონობს ყინვა მზის ჩასვლის შემდეგ. 4 თებერვალს ღამით ხაშურში იყო 18 გრადუსი ყინვა, გორში — 15, ცხინვალში — 11, თბილისში — 9, ხოლო აეროპორტის მიმართულებით — 11 გრადუსი, მთიან რაიონებში კიდევ უფრო ყინავდა. ახალქალაქში აღინიშნა მინუს 22, ბაკურიანში — 20, თიანეთში 21 გრადუსი.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსებმა გვაცნობეს, 6-7 თებერვალს ღამით ზემო ქართლში მცხეთის, კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებში შენარჩუნებული იქნება ძლიერი ყინვები 14-18 გრადუსის ფარგლებში.

როგორია დღეევანდელი, 6 თებერვლის ამინდის პროგნოზი? დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში იქ-ოლებს წვიმა 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 8-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იქნება, სუსტი ქარი, ტემპერატურა დასავლეთ დაბლობ რაიონებში 2-7 გრადუსი ყინვა, აღმოსავლეთის დაბლობ რაიონებში 3 გრადუსი ყინვა-2 გრადუსი სითბო,

თბილისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ღამით 6-8 გრადუსი ყინვა, დღისით ნული-2 გრადუსი სითბო.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲗᲐᲜ

ყაიმი 99-ე სვლაზე

კორჩნოი-მეკინგის მატჩში თვითეული პარტია შეიძლება უკანასკნელი გამოდგეს. ორი ტურის უპირატესობა ლენინგრადელ მოჭადრაკეს ლოდინის ტაქტიკაზე გადასვლის საშუალებას აძლევს, თუმცა კორჩნოი ამას არ აკეთებს, უწინდებურად აქტიურად იბრძვის. რაც შეეხება მეკინგს, იგი სრულიადაც არა ჰყრის ფარხმალს. მის მიერ უკეთეს პოზიციაში გადადებული მეშვიდე პარტიის მოულოდნელი წაგება, ეტყობა, შეწყვეტილი მოგომარეობის სუსტ ანალიზს ჯნდა მიეწეროს.

მეცხრე პარტია, რომელშიც კორჩნოი თეთრებით თამაშობდა, მეტისმეტად შეუპოვარი და ხანგრძლივი გამოდგა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს პარტია ორჯერ გადაიდო და 11 საათსა და 37 წუთს გაგრძელდა. მეცხრე პარტია ყველაზე ხანგრძლივად არა მარტო ამ მატჩში, არამედ სეერთოდ პრეტენდენტთა ყველა შეხვედრაში.

პირველად პარტია გადაიდო თეთრების 41-ე სვლის შემდეგ დაახლოებით თანაბარ პოზიციაში. როდესაც მეტოქეებმა მეორედ გადადეს ეს პარტია, მდგომარეობა კვლავ თანაბარი იყო. კორჩნოიმ, სანამ მეასე სვლას გაკეთებდა, მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. მეკინგი დათანხმდა — ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

ანგარიშია კვლავინდებურად 2:0 კორჩნოის სასარგებლოდ.

ბ. ბამრეკელი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲛᲘᲠᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ